ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3693545

ნომერი: AR1558078

თარიღი : 15.11.2017

გაცემის თარიღი : 21.11.2017

გაცნობის თარიღი : 22.11.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი აკ. წერეთელი , N 114 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ლაგვილავა პ/ნ 01006002158
- თბილისი დიღმის მას. V კვ. კორ. 20 ბ. 14

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1 . ვინაიდან 20.06.2013 წლის №745870 გადაწყვეტილებით შეთანხმდა #12/1 შენობა/ნაგებობის რეკონსტრუქცია , ხოლო ამჟამად თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ხდება #17/1 შენობა/ნაგებობის რეკონსტეუქიცია, საჭიროა აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტოთ ინფომაცია.

2 . ასევე ვინაიდან წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით ირკვევა, რომ ხდება არსებული ხე/ნარგავის მოჭრა/გადატანა საჭიროა აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული თანხმობა.

3 . წარმოადგინეთ დღევანდელი სიტუაციის ამსახველი ფოტოსურატები თარიღის ფიქსაციით და მის საფუძველზე დამუშავებული ფოტომონტაჟი, დეტალურად გაბარიტული ზომებისა და მასალის მითითებით.

4. საჯარო რეესტრიდან ამონაწერში ფიქსირდება იპოთეკა, წარმოსადგენია იპოთეკარის წარმომადგენლად რეგისტრირებული უფლებამოსილი პირის მიერ სათანადო წესით გაცემული თანხმობა განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით ან იპოთეკის საფუძველი თუ ის ითვალისწინებს ასეთ თანხმობას.

5. საჯარო რეესტრიდან ამონაწერში გარკვეულ ფართებზე ფიქსირდება სარგებლობა, იმ შემთხვევაში, თუ ჩასატარებელი სამუშაოები ეხება სარგებლობით გაცემულ ფართებს, წარმოსადგენია მოსარგებლეების მიერ სათანადო წესით გაცემული თანხმობები განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, ხოლო თუ არ ეხება განმარტეთ მოთხოვნის ტექსტში.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.